ოქმი №6

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მეექვსე სხდომისა

ქუთაისი, 2022 წლის 1 ივლისი, 11 სთ

სხდომის ჩატარების ადგილი:
კომისიის სამუშაო ოთახი, N401 (საკრებულოს სხდომათა დარბაზი)
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე.**

ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: **მ.ნიჟარაძე, ზ.მამასახლისი, გ.კილაძე, გ.ბასილაძე, ა.კოპალეიშვილი, ე.არჩაია, პ.ლილუაშვილი (ონლაინ), დ.ფხაკაძე, ი.შენგელია, ჯ.ბიბილეიშვილი.**

სულ: კომისიის 11 წევრი.

არ ესწრებოდა: დ.ბახტაძე, კ.გურული, მ.სიმონიძე, გ.მანაგაძე, ბ. ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბატონი ი.ქარქაშაძე.

კომისიის სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბ.მახარაძემ** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. ააიპ „მადლიერების სახლის“ მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ"

   /ბ.მახარაძე,
   თ.ბაკურაძე/

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ"

   /ბ.მახარაძე,
   ვ.გობეჯიშვილი/

3. „უფასო მგზავრობის მოწყვლადი ჯგუფების შერჩევისა მათი ბიუჯეტიდან დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ“

   /ბ.მახარაძე,
   ვ.გობეჯიშვილი/

4. მიმდინარე და სხვადასხვა საკითხები

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული საკითხები დაგზავნილი იყო. ვთხოვოთ ქალბატონ თამთა ბაკურაძეს წარმოადგინოს მოკლე ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ“.

1. **მოისმინეს:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ააიპ-ის ხელმძღვანელის ქალბატონი **თ.ბაკურაძის** ინფორმაცია სამსახურის მიერ გაწეული მუშაობისა და მიმდინარე წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (მასალა თან ერთვის).

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **მ.ნიჟარაძე:** „როგორც ჩემთვის არის ცნობილი, თქვენ სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ნაწილისათვის მიგქონდათ ბინაზე საკვები. ახლაც ახორციელებთ ამ მომსახურებას?“

თ.ბაკურაძე: „დიახ, ჩვენ გვყავს ავტომობილი და განსაკუთრებული საჭიროების ბენეფიციარებს ბინაზე მიტანით ვემსახურებით“.

კომისიის წევრი **გ.კილაძე:** „მაქვს ორი შეკითხვა: პირველი: რა გვიჯდება დღიურად ეთი ბენეფიციარი და მეორე, თუ ხდება კალორიების დათვლა ბენეფიციართა ასაკის მიხედვით?“

თ.ბაკურაძე: „ამჟამად ერთ ბენეფიციარზე დღიური ხარჯი 2,27 ლარია. კალორაჟი გამოთვლილია და ისე დგება მათთვის მენიუ. შეგიძლიათ ეს მენიუ ნახოთ, გადმოგზავნილიც იყო. სხვადასხვა ასაკისთვის ინდივიდუალური მიდგომა არ გვაქვს, რამდენადაც სწრაფად იცვლება ბენეფიციართა სიები“.

კომისიის წევრი **გ.კილაძე:** „თუ თვლით, რომ ეს 2,27 საკმარისია?“

მერის მოადგილე **ი.ქარქაშაძე:** „მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში მსგავსი კალკულაციით მიდგომა არ შეიძლება. აქ მთავარია კალორაჟის დაცვა. ჩვენ როცა ტენდერებით და მასიურად ვყიდულობთ, თანხა შეიძლება მცირე აღმოჩნდეს და კონკრეტული კერძი სხვადასხვა ფასი დაჯდეს. სწორი იქნება ვიმსჯელოთ კალორაჟის შესახებ ან თუნდაც მის გაზრდაზე“.

კომისიის წევრი **მ.ნიჟარაძე:** „თუ არის რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაშიც თვითმმართველობის ჩარევა აუცილებელია?

თ.ბაკურაძე: „დიახ, ეს გახლავთ შენობა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „თუ დამატებითი კითხვები არ გვაქვს, წინადადებით შემოვდივარ „მადლიერების სახლის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მივიღოთ ცნობად და კენჭი ვუყაროთ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 9, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

თავი შეიკავა - 2

დაადგინეს: „მადლიერების სახლის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

2. **მოისმინეს:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის უფროსის, ბატონი **ვ.გობეჯიშვილის** ინფორმაცია სამსახურის მიერ გაწეული მუშაობისა და მიმდინარე წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (მასალა თან ერთვის).

მოისმინეს: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის ბატონ **ვ.გობეჯიშვილის** ინფორმაცია სამსახურის მიერ გაწეული მუშაობისა და მიმდინარე წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (მასალა თან ერთვის).

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „ბატონო ვარლამ, შინმოვლის პროგრამა ახსენეთ და „წითელი ჯვარი" წელს შემოვიდა ხომ ამ პროგრამის განმახორციელებლად?"

ვ.გობეჯიშვილი: „დიახ, 2022 წლიდან".

კომისიის წევრი **ე.არჩაია:** „სოციალურად დაუცველები უფასო მგზავრობით თუ სარგებლობენ?"

ვ.გობეჯიშვილი: „ყველა კატეგორია არა. არსებობს საკრებულოს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმები, შშმ პირებისა და ხანდაზმულებისათვის. ის 60 ბენეფიციარი, რომელთაც „წითელი ჯვარი" ემსახურებათ, მათ არ შეეხოთ ამ კრიტერიუმების მიხედვით. ზოგადად ამ საკითხე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ბევრი ორგანიზაცია მოგვმართავს თქოვნით და ჩვენს გამოუვალ მდგომარეობაში ვვარდებით. ამიტომ, შევთავაზეთ ერთად გვემსჯელა ამ საკითხზე და ჩამოგვეყალიბებინა ყველასათვის მისაღები კრიტერიუმები".

კომისიის წევრი **გ.კილაძე:** „კარგი იქნებოდა შერავათის დაწესება ან უფასო მგზავრობა 70 წელს გადაცილებული პენსიონერებისათვის, თუკი არ არის მათი რაოდენობა დიდი".

მერის მოადგილე **ი.ქარქაშაძე:** „ალბათ ამას ვერ გაწვდება ბიუჯეტი, რამდენადაც ამ კატეგორიის პენსიონერთა რიცხოვნობა საკმაოდ დიდია".

კომისიის წევრი **გ.კილაძე:** „ასეთი შეკითხვა მაქვს: თუ შემიძლია, როგორც საკრებულოს წევრმა თქვენგან მივიღო ინფორმაცია თქვენს მიერ გაწეული მომსახურების შესახებ, სახელების და გვარების მითითებით? წინა მოწვევის საკრებულოში გვქონდა ამის მცდელობა და ვერ მივიღეთ სამწუხაროდ და საქმე სასამართლო დავამდეც მივიდა".

ვ.გობეჯიშვილი: „ნაწილობრივ შესაძლებელია. თუ ეს ეხება პერსონალურ ინფორმაციას, ამის უფლება ჩვენ არ გვაქვს და ვერ შევძლებთ".

მერის მოადგილე **ი.ქარქაშაძე:** „არის საჯარო და პერსონალური ინფორმაციები. რაც შეიძლება გასაჯაროვდეს, ამას მოგაწვდით. მაგალითად, როცა ინფორმაცია ბავშვებს ეხება, მე, როგორც მერის მოადგილემაც არ ვიცი და მხოლოდ ინიციალები მომეწოდება. კიდევ ერთხელ გავივლით ამ საკითხს იურისტებთან და მოგაწვდით ინფორმაციას".

კომისიის წევრი **ა.კოპალეიშვილი:** „თუ გაქვთ ე.წ. „აუთვისებელი პროგრამები" და ასევე ისეთები, სადაც თანხები არ გყოფნით".

ვ.გობეჯიშვილი: „ასეთი ე.წ. „აუთვისებელი პროგრამა არის კოვიდთან დაკავშირებული, საპილოტე პროგრამა. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მხარდაჭერის პროგრამაში კი პირიქით, გვიჭირს და 21 ათასი ლარის დამატება მოგვიწია, რადგან დღეისათვის 276 ბავშვს ვემსახურებით".

კომისიის წევრი **მ.ნიჟარაძე:** „მე მიმაჩნია, რომ ბატონ ვარლამს კარგი გუნდი ყავს და კარგადაც მუშაობენ. მე ხშირი ურთიერთობა მაქვს მოქალაქეებთან და ამ სამსახურზე საყვედური არც ერთი მოქალაქისგან არ გამიგია".

კომისიის წევრი **ე.არჩაია:** „მეც ვეთანხმები ქალბატონ მარეხის და ამ განწყობას“.

მერის მოადგილე **ი.ქარქაშაძე:** „მართლაც დიდ შორმას სწევს ეს სამსახური. ერთადერთი სამსახური იყო, ვინც კოვიდის დროს არ გადასულა დისტანციურ რეჟიმზე. მე მინდა ასევე აღვნიშნო, რომ აუტისტების მხარდაჭერის პროგრამას, როგორც ძვირადღირებულს, აქვს მაღალი რისკი. უახლოეს პერიოდში ამას შეიძლება ჩვენი რესურსი არ ეყოს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, ეს პროგრამა წაიღოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ. ასევე მინდა გითხრათ, რომ დაწყებული გვაქვს პროგრამების განახლების პროცესი და პერიოდულად ახალ პროგრამებსაც შემოგთავაზებთ“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „თუ დამატებითი კითხვები არ გვაქვს, წინადადებით შემოვდივარ სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მივიღოთ ცნობად და კენჭი ვუყაროთ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 9, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

თავი შეიკავა - 2

დაადგინეს: სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

3. **მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარის **ბ.მახარაძის** ინფორმაცია უფასო მგზავრობის კატეგორიების გადახედვის შესახებ სოციალურ საკითხთა სამსახურის წერილის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ საკითხი დეტალურად უნდა იქნას განხილული არა მარტო საშეღავათო პირების კატეგორიების დადგენის, არამედ ბიუჯეტიდან ამ მიზნით გასაწევი ხარჯების დაზუსტების თვალსაზრისითაც. ამიტომ დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ წერილი დაუბრუნდეს აღმასრულებელს მისი უფრო დეტალური განხილვის მიზნით“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **გ.კილაძე:** „რაც გვაქვს ის ხომ არ განვიხილოთ და ჩვენი წონადადებები შევთავაზოთ?“

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „ზემოაღნიშნულ წერილში მოტანილი ფორმულირებები ზოგადია და ამიტომ გვინდა საკითხის დაზუსტება“.

ვ.გობეჯიშვილი: „გასათვალისწინებელია, რომ ქალაქში არის 36 ათასი ხანდაზმული, ასევე შშმ პირების დიდი რაოდენობა. ამჟამად შეღავათი 9 კატეგორიაზეა დაწესებული. საჭირო იქნება სწორი დეფინიციების/ტერმინების გამოყენება და დიფერენცირებული პაკეტების შეთავაზება“.

კომისიის წევრი **გ.კილაძე:** „იქნებ გავითვალისწინოთ 70 წელს გადაცილებულთა დიდი რაოდენობა სახლშია და ვინც მოძრაობს, ისედაც მცირე რაოდენობაზე გამოგვივა შეღავათის დაწესება“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „ბიუჯეტი დამტკიცებულია და ხარჯების ცვლილება დაგვჭირდება. ამიტომ საკითხს უფრო ფრთხილად უნდა მივუდგეთ“.

კომისიის წევრი **მ.ნიჟარაძე:** „მე მიმაჩნია, რომ სოციალურ საკითხთა სამსახურმა მოახდინოს კატეგორიების მოწოდება, რომელსაც ამისათვის მიზანშეწონილად მიიჩნევს. ჩვენ

განვსაზღვრავთ საბოლოო კატეგორიებს, კრიტერიუმებს და ბიუჯეტის შესაძლებლობის მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას.
კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „ჩვენი მსჯელობა იქამდე მიდის, რომ აღმასრულებელმა უნდა შეისწავლოს მოწყვლად ჯგუფში შემავალი მოქალაქეთა რაოდენობა და განსაზღვროს ბიუჯეტში ასაგინების მოცულობა, სამომავლო ასახვისათვის. შემდეგ უკვე კომისიურადაც ვიმსჯელებთ ამ საკითხზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 11, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: დაუბრუნდეს საკითხი აღმასრულებელს მისი დეტალურად შესწავლის მიზნით.

ამით, საკრებულოს კომისიის მეექვსე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე**